დანართი N1
დამტკიცებულია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2015 წლის 12 მარტის N21/02-01 ბრძანებით

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იშვიათი გამოცემების შერჩევის, აღრიცხვისა და განთავსების წესი

მუხლი 1. იშვიათ გამოცემათა განყოფილების ფონდში განთავსების კრიტერიუმები

იშვიათ გამოცემათა განყოფილების ფონდში შეიძლება განთავსდეს:
ა) 1921 წლამდე გამოცემული ყველა ქართული წიგნი და ქართული პერიოდული გამოცემა;
ბ) ინკუნაბულა – პირველი ნაბეჭდი წიგნები;
გ) ხელნაწერები;
დ) წიგნები წარწერებით;
ე) იშვიათი აკადემიური გამოცემები (თხზულებათა კრებულები, სამეცნიერო, ისტორიული, ბიოგრაფიული, მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, საიუბილეო გამოცემები, ალმანახები და სხვა);
ვ) კოლექციები;
ზ) ალბომები, ფერადი ილუსტრაციები, გრავიურები და მინიატურები, რუკები, ნოტები;
თ) ხელით აკინძული გამოცემები;
ი) მცირე ერთა და მკვდარ ენებზე შესრულებული გამოცემები;
კ) ძველი ქართული, ძველი რუსული, გოთური შრიფტით ნაბეჭდი გამოცემები;
ლ) მინიატურული და არასტანდარტული ფორმატის წიგნები.

მუხლი 2. იშვიათ გამოცემათა ფონდის შედგენისა და აღრიცხვის წესი

1. თსუ ბიბლიოთეკის ფონდებიდან იშვიათ გამოცემათა ფონდისათვის შერჩეული საბიბლიოთეკო ერთეულის გადატანა ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის N97/02–01 ბრძანების „ სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის, შეფასების, გადაფასების, საბიბლიოთეკო ფონდიდან საბიბლიოთეკო დოკუმენტის გარიცხვისა და ჩამოწერის წესის“ I თავის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და VII თავის მე-16 მუხლის შესაბამისად.
2. ფონდებიდან საბიბლიოთეკო ერთეულის ამოღება ხდება ინვენტარის ჟურნალთან შეჯერების გზით.
3. ამოღებულ საბიბლიოთეკო დოკუმენტს მიენიჭება ლიტერი „იშ“–ი (იშვიათი) და აღინიშნება საკატალოგო ბარათზე.
4. ფონდის ინვენტარის ჟურნალში კეთდება შენიშვნა–მიწერა – გადატანილია/ინახება ,,იშ“ წიგნად ფონდში.
5. ინვენტარის ჟურნალიდან ამოღებული საბიბლიოთეკო ერთეულების ელექტრონული სია დგება ყველა სავალდებულო მონაცემით (ინვენტარის ნომერი, ლიტერით „იშ“, ავტორი, სათაური, გამოცემის ადგილი, წელი, ფასი, გამომცემლობა და შემოსვლის წყარო).

6. საბიბლიოთეკო ერთეულის შემოსვლის წყაროზე დაყრდნობით წიგნად ფონდს შეიძლება შემომწირავის სახელი და კოლექციის სტატუსი მიენიჭოს.
7. შემოწირულობებით, ან მოძიება–შეძენის გზით შემოსული ახალი საბიბლიოთეკო ერთეული აღირიცხება ინვენტარის ჟურნალში და ინვენტარის სათანადო ნომერი მიენიჭება.

მუხლი 3. საცავში საბიბლიოთეკო ერთეულის განთავსების წესი

1. იშვიათ გამოცემათა საცავის დაყოფა ხდება სექტორებად ფორმატების (საბიბლიოთეკო ერთეულის ზომა) მიხედვით (მაგ. იშ–0 ფორმატი, იშ–1 ფორმატი, იშ–2 ფორმატი, იშ–3 ფორმატი, იშ–4 ფორმატი, იშ–5 ფორმატი, იშ–F, კოლექციები, პერიოდული გამოცემები). თითოეულ სექტორში შესაბამისი საბიბლიოთეკო ერთეულის განთავსება ხდება ინვენტარის ნომრის მიხედვით.

2. ქართველოლოგიური („ხელუხლებელი“) ფონდი, ლიტერით F, გარდა იშვიათი ფონდისთვის შერჩეული საბიბლიოთეკო ერთეულებისა რჩება არსებულ საცავში დისერტაციებთან და პერიოდულ გამოცემებთან ერთად, როგორც მზარდი საცავი და შედის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში.